შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (9.875)

4 - 11 მაისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელწიფო მუზეუმს ახალი მმართველი ჰყავს

გვ. 3

ყურადღება!

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრი მოსახლეობას აცნობებს, რომ 6 მაისიდან კვლავ ამოქმედდება წყალმომარაგების გრაფიკი და ქ. დედოფლისწყაროს, სოფლების: ხორნაბუჯისა და სამრეკლოს მოსახლეობას წყალი დღეგამოშვებით მიეწოდება. სერვისცენტრის უფროსის, ნოდარ ფიროსმანაშვილის განცხადებით, წყლის დებეტის გაზრდის შემთხვევაში, წყალზე გრაფიკი მოიხსნება და მოსახლეობა მას 24 საათიან რეჟიმში მიიღებს.

ნიკა ჩიტიშვილი ევროპის ჩემპიონია

გვ. 8

C M Y K

გიორგი გახარია: სამინისტროს ლექსიკაში აღარ იქნება „მიმდინარეობს გამოძიება“

„დღეის მდგომარეობით შს სამინისტროს ძირითადი, კონცეფტუალური მიზანია, ლექსიკიდან ამოიღოს შემდეგი სახის განმარტება: „მიმდინარეობს გამოძიება“. სტატისტიკის გამოქვეყნებისათვის, რისაც არ სჯეროდა ოპოზიციას, ერთი წელი დაგვჭირდა. ამ პრობლემასაც ერთ წელიწადში დავძლევთ“, - ასეთი განცხადება გააკეთა პარლამენტში მისულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ოპოზიციონერი დეპუტატების შეკითხვების პასუხად.

ოპოზიციის ნაწილმა შს მინისტრს ის გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები შეახსენა, რომლებზეც გამოძიება დაიწყო, თუმცა დამნაშავეები არ გამოვლენილა.

გიორგი გახარამ პარლამენტში სისხლის სამართლის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაზეც ილაპარაკა.

„გარკვეული კონსულტაციები დაწყებული გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და შესაბამის ექსპერტულ წრეებთან. მივესალმებით ამ პროცესში ოპოზიციის ჩართვასაც. რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ იქნება შედეგის მომტანი გრძელვადიან პერსპექტივაში, ვერ იქნება მდგრადი და ამის კარგი გაკვეთილი გვაქვს მიღებული. შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა იყოს გააზრებული, ანალიზზე დაფუძნებული და ეფექტური, თუმცა არის გარკვეული მიმართულებები, სადაც სისხლის სამართლის პოლიტიკა საჭიროებს გამკაცრებას“, - განაცხადა გიორგი გვახარიამ.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის კომისიის შემადგენლობა სავარაუდოდ მომავალ კვირაში დამტკიცდება

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სადელიმიტაციო კომისიის განახლებული შემადგენლობა, სავარაუდოდ, მთავრობის უახლოეს სხდომაზე დამტკიცდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საკითხზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ აზერბაიჯანულ მხარესთან აქტიური კომუნიკაცია ყველა მინისტრს დაავალა.

„მათ შორის ბუნებრივია, ძალიან აქტიურად საუბრობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები და მოგეხსენებათ, მიღწეულია შეთანხმება. რაც შეეხება თავად კომისიას, მას ბოლო პერიოდის განმავლობაში რეალურად არ უმუშავია. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვაახლებთ კომისიას, მას ხელახლა დავამტკიცებთ და ეს, სავარაუდოდ, მთავრობის უახლოეს სხდომაზე, მომდევნო კვირას მოხდება.

ამის შემდეგ დელიმიტაციის საკითხებზე საუბარი ორი ქვეყნის კომისიის ფარგლებში გაგრძელდება. ამ პერიოდის განმავლობაში კი, ბუნებრივია, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ცალკეულ მიმართულებებზე იქნება მიმოსვლის ის პრაქტიკა, რომელიც მანამდე არსებობდა“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

იგი დარწმუნებულია, რომ საკითხი გადაწყდება ისე, როგორც საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობასა და სტრატეგიულ პარტნიორობას შეეფერება.

ქეთევან ციხელაშვილი - ევროსაბჭომ საქართველოს მიმართ ძალიან მყარი მხარდაჭერა დააფიქსირა

ეს იყო კონკრეტული, მკაფიო გზავნილების შემცველი გადაწყვეტილება, რომლითაც ევროსაბჭომ ძალიან მყარი მხარდაჭერა დააფიქსირა თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მიერ მიღებულ მორიგ გადაწყვეტილებას საკითხზე „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში.“

როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, სხდომაზე კომიტეტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროსაბჭოს მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და განაცხადა, რომ რუსეთი კვლავ აფერხებს კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო პროცესს, ხელყოფს რეგიონში უსაფრთხოებას და სტაბილურობას და აგრძელებს სამხედრო ძალით ყოფნას საქართველოს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში.

„დოკუმენტში ყველა მიმდინარე დარღვევა ხაზგასმულია და გამოხატულია პოზიცია, რომ ეს ევროსაბჭოსათვის აბსოლუტურად მიუღებელია. საუბარია ოკუპაციაზე, სამხედრო წვრთნებზე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე, გალსა და ახალგორში მაცხოვრებელი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე, საკუთრების უფლების დარღვევისა და დევნილების დაბრუნების უფლების ხელყოფაზე. ასევე, რუსეთის მიერ ნაკისრ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. აგრეთვე საუბარია სამშვიდობო ინიციატივაზე „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი ქვეპროგრამები ადამიანებისავის, მათი კეთილდღეობისათვის და სამომავლოდ ნდობის მშენებლობისა და დიალოგისათვის.

„მადლობა უნდა გადავუხადო ევროსაბჭოს კომიტეტს ამ გადაწყვეტილებისათვის, რადგან ეს არის არა მხოლოდ მკაფიო და მყარი მხარდაჭერა, არამედ გარანტი იმისა, რომ ერთობლივი ძალისხმევით სამშვიდობო პოლიტიკაში წარმატებულები ვიქნებით. პარტნიორების მხრიდან ამ პოზიციების ერთობლიობა და მუდმივობა უზრუნველყოფს იმას, რომ რუსული ძალისმიერი პოლიტიკა წარუმატებელი იქნება და მას პერსპექტივა არ გააჩნია“, - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

დავით სერგეენკო - პაციენტებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე ექიმებისგან სრული ინფორმაცია არ აქვთ

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამასთან დაკავშირებით, პაციენტებს ექიმებისგან სრული ინფორმაცია არ აქვთ,- ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, ინფორმაციის არასრული მიწოდების გამო, პროექტის ბენეფიციარების რაოდენობა ბევრად ნაკლებია.

„ძალიან დეტალურად შევისწავლეთ ამ პროგრამის მიმდინარეობა და ერთი მთავარი სუსტი წერტილი დავინახეთ, რომ პაციენტებს ექიმებისგან სრული ინფორმაცია არ აქვთ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ინფორმაციას იღებენ, იღებენ ხოლმე ნაწილობრივ, რადგანაც სუსტი წერტილების დეტექციას რომ ვაკეთებდით, პაციენტი, რომელიც მიიღებს ექიმისგან ინფორმაციას, მიდის მერიაში და არა სოციალური მომსახურების სააგენტოში, რადგან შეჩვეულია, რომ დახმარებას იქიდან იღებს. ის ცალკე სახელმწიფო პროგრამაა, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ახორციელებენ. ეს ცალკე სახელმწიფო პროგრამაა, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს. არასრული ინფორმაცია მიდის პაციენტამდე. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ პროგრამის მომხმარებლების რაოდენობა, პროექტის ბენეფიციარების, მოსარგებლეების ბევრად ნაკლებია, ვიდრე შესაძლებლობაა. ამიტომ თქვენი ჩართულობა არის კრიტიკული ამ ყველაფერში. ჩვენ, როგორც ნახეთ, რაიონებისა და დაწესებულებების მიხედვით, ვაკეთებთ მონიტორინგს, სად მეტი პაციენტია ჩართული, იმისათვის, რომ ჩვენი თანამშრომლობა უფრო ორმხრივი და აქტიური გავხადოთ”- განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით ორმხრივი მზაობა არსებობდეს.

„ზოგჯერ ექიმებისგან მომისმენია, რომ ჩვენ იმდენი სამუშაო გვაქვს, მაღალი ხელფასი არ გვაქვს და დავუშვათ, რატომ უნდა შევიწუხო თავი, რომ პაციენტს ავუხსნა ამ პროგრამის შესახებ, სახელმწიფო რას მაძლევს ამის სანაცვლოდო. სამწუხაროდ, ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ გამიგია ხოლმე ასეთი დამოკიდებულება. მე მგონია, ამას ბევრი ახსნა არ სჭირდება, მაგრამ ხაზს გავუსვამ ცალსახად, რომ პირველადი ჯანდაცვის განვითარება და გაძლიერება ზეპრიორიტეტული ამოცანაა ჩვენთვის. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ორმხრივი მზაობა უნდა დავინახოთ თვითონ პირველადი ჯანდაცვის ექიმებისგან, მზაობა იმისათვის, რომ უფრო გააქტიურდნენ და უფრო მეტი შვება მისცენ თავიანთ პაციენტებს, თუნდაც აი, ამ პროგრამის გამოყენებით”,- განაცხადა მინისტრმა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი დაიწყო

2 მაისს 2019-2020 სასწავლო წლისათვის, პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი დაიწყო და 17 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაციას ამ ეტაპზე უშუალოდ სკოლაში გადიან ის ბავშვები: რომელთა და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში; რომელთა მშობელიც სკოლის თანამშრომელია (მშობელი და არა ბებია ან ბაბუა); რომელთა ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში. ამ ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

წელს პირველ კლასში შესვლას 16 სექტემბერს დაბადებული ბავშვებიც შეძლებენ, ვინაიდან, ახალი სასწავლო წელი 2019 წლის 16 სექტემბერს, ორშაბათს იწყება. შეგახსენებთ, რომ რეგისტრაციის პირველი ეტაპი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებმა გაიარეს.

სექსუალური შევიწროვების შესახებ კანონი პარლამენტმა დაამტკიცა

სექსუალური შევიწროვების შესახებ კანონპროექტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა. კანონპროექტს მხარი 102-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგი არც ერთი დეპუტატი არ იყო.

სექსუალური შევიწროების დეფინიცია კანონში განისაზღვრა და დისკრიმინაციის ეს ფორმა შრომით ურთიერთობებში თუ საჯაროდ, დარეგულირდა. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო შრომის კოდექსს, სახალხო დამცველის შესახებ კანონს, სამოქალაქო საპროცესოსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებს.

სექსუალური შევიწროება შრომითი ურთიერთობებისას

შრომის კოდექსი იცნობს შევიწროების ტერმინს, თუმცა არ განმარტავს სექსუალურ შევიწროებას. ცვლილების მიხედვით, კოდექსს ემატება სექსუალური შევიწროების განმარტება:

“სექსუალურ შევიწროებად ჩაითვლება პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს”.

სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში

პროექტში განმარტებულია, რომ სექსუალური ხასიათის ქცევაში იგულისხმება სექსუალური ხასიათის ფრაზების გამოთქმა ან/და მიმართვა, გენიტალური ორგანოების ჩვენება, ნებისმიერი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ფიზიკური ქცევა.

ადმინისტრაციულ კოდექსში განისაზღვრება სექსუალური შევიწროების ცნება საჯარო სივრცეში, რაც ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებსაც და განსაზღვრავს სანქციებს. კანონის დამტკიცების შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შეადგენენ სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირის მიმართ შესაბამის ოქმს, საბოლოო გადაწყვეტილებას, სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით, მიიღებს სასამართლო.

სანქციები

- სექსუალური შევიწროება – საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. ერთი წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით;
- იგივე ქმედება არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე ოდენობით. ერთი წლის განმავლობაში გამეორების შემთხვევაში გამოიწვევს 800-დან 1 000 ლარამდე ოდენობით ჯარიმას, ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.

ცვლილება სახალხო დამცველის საქმიანობაში

სექსუალური შევნიროების შემთხვევის წინააღმდეგ დაზარალებულს ორი მექანიზმი აქვს: მიმართოს სახალხო დამცველს ან სასამართლოს. სახალხო დამცველი შეისწავლის საქმეებს და თავისი მანდატის ფარგლებში, ფიზიკური თუ იურიდიული პირის, ასევე, კერძო სამართლის სხვა სუბიექტის მიმართ გამოსცემს რეკომენდაციას. ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, ომბუდსმენი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს რეკომენდაციის შესრულება, თუ მათ არ გაიზიარეს ან არ უპასუხეს მის რეკომენდაციას.

სახალხო დამცველი ასევე უფლებამოსილი იქნება თავის ანგარიშებში მიუთითოს დამრღვევი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ ინფორმაცია. ფიზიკური და იურიდიული პირი, ასევე, კერძო სამართლის სხვა სუბიექტი, კანონით ვალდებული იქნება განიხილოს რეკომენდაცია და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს შედეგები ომბუდსმენს.

2014 წლის სექტემბერში ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევით, თბილისის მეტროს სადგურებში შევიწროების ყველაზე ხშირი სახე იყო სექსუალური კომენტარი/ხმა (31%), შეხება (38%), მიწოლა/სხეულზე ხახუნი (14%), საკუთარ სასქესო ორგანოებზე შეხება, დისკომფორტის შექმნის მიზნით (6%)და სხვა (14%). ყველაზე ხშირად სექსუალურ შევიწროებას რესპონდენტები საღამოს საათებში განიცდიდნენ - 65,6%.

მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელწიფო მუზეუმს ახალი მმართველი ჰყავს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელწიფო მუზეუმის ახალი მმართველი წარადგინა.

მუზეუმს დალი აბაშიძე უხელმძღვანელებს, ხოლო ანზორ მაძღარაშვილი ნიკოლოზ ანთიძის კონსულტანტად დაინიშნა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნიკოლოზ ანთიძემ დალი აბაშიძეს დაკავებული თანამდებობა მიულოცეს და ანზორ მაძღარაშვილს გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადეს.

ანონსი

პოეტის საიუბილე საღამოზე

დედოფლისწყაროელ პოეტს, ჯუმბერ უთრუთაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. პოეტის იუბილეს მიეძღვნა საღამო, რომელიც დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა.

საიუბილეო ღონისძიებაზე ჯუმბერ უთრუთაშვილის მეგობრებმა მისი ლექსები წაიკითხეს და პოეტის განვლილ შემოქმედებით გზაზე ისაუბრეს. საქართველოს მწერალთა კავშირმა მას გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია მიანიჭა.

ღონისძიება კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს პოეტს საიუბილეო თარიღს და დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს უსურვებს შემოქმედებით გზაზე.

ვრცელ მასალას გაზეთ „შირაქის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

არხილოსკალოში ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნა, რომელმაც ბინა ახლადაგებულ შენობაში დაიდო. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე აუდიო-ვიდეო ტექნიკით. სივრცეში სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი აქტივობები გაიმართება, პარალელურად კვება და გართობა იქნება შესაძლებელი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ შეირჩა არხილოსკალოს ერთ-ერთი მკვიდრის მიერ მომზადებული საპროექტო გეგმა, რომელიც კომისიამ მოიწონა. იდეა 32 გამარჯვებულს შორის მოხვდა, დაფინანსება გამოეყო და განხორციელდა. საგრანტო კონკურსი სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ინიციატივების მხარდასაჭერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ორ ეტაპად გაიმართა. პირველ ეტაპზე საბჭოს სხდომაზე ინდივიდუალური ხმის მიცემის პრინციპით დამტკიცდა 32 საგრანტო პროექტი შემდეგ სფეროებში: ტურიზმის განვითარებაზე - 7 გრანტი; სოფლის მეურნეობის — 5; სოციალური და საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაზე — 6 გრანტი; დივერსიფიცირებული ბიზნესის განვითარებაზე — 13, ხოლო კულტურული სფეროს განვითარებაზე — 1 გრანტი.

როგორც პროექტის ავტორმა და არხილოსკალოს ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელმა მარინა წიკლაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მისი დიდი ხნის სურვილი იყო, რაიონული ცენტრისგან მოწყვეტილ ზონაში ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი შეექმნა, სადაც სხვადასხვა აქტივობებთან ერთად კვება და გართობაც იქნება გათვალისწინებული. ის ამ სოფლის გამგებლის თანამდებობას რამდენიმე წლის განმავლობაში იკავებდა, საკმაოდ აქტიური ადამიანია და ამ სოფლის საჭიროებები ზედმიწევნით კარგად იცის. მისი თქმით, პირველ ეტაპზე, პროექტის მიხედვით, კვება არ იგეგმებოდა, თუმცა, იმის გამო, რომ ობიექტმა ფუნქციონირება და საკუთარი თავის შენახვა შეძლოს, აუცილებელი გახდა სამზარეულოც დაემატებინათ. უკვე დასრულდა სამზარეულოს მონტაჟიც და ცხელი და ცივი სასმელების გარდა სტუმრებს საკვებითაც გაუმასპინძლდებიან.

***„აპრილის პირველი რიცხვებიდან დავიწყეთ ფუნქციონირება. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს ზონა მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს, დიდი მანძილითაა დაშორებული მუნიციპალიტეტს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასაზღვრო ზოლია. მიგრაციის გამო ახალგაზრდობის ნაკლებობაა. ადგილზე არანაირი გასართობი, ან თავშესაქცევი სივრცე არ არსებობდა, სადაც სტუმას შეიყვან, ან თვითონ დაჯდები, მუსიკას მოუსმენ, ან ყავასა, თუ ჩაის მიირთმევ. ამიტომ დიდი სურვილი გვქონდა, რომ ასეთი ობიექტის გახსნა მოგვეხერხებინა. ბოლო წლებში ევროკავშირის პროექტები რომ გამოცხადდა, შევიტანე განაცხადი, შევადგინე პროექტი და საბედნიეროდ გავიმარჯვე. მივიღე დაფინანსება და შევუდექით მშენებლობას. ვინაიდან სათანადო შენობა არ არსებობდა, ახალი შენობა ავაშენეთ, სოფლის ცენტრში, სპორტული მოედნისა და იუსტიციის სახლის გვერდით... ვფიქრობ, კარგი გამოგვივიდა. შესანიშნავი დიზაინი და საოცარი გარემო შეიქმნა. ზოგადად, ჩემი მიდგომაა, რომ აქ წარმოდგენილი საქონელი ნისიად არ გაიცეს და ზოგადად, ახალგაზრდობა მიეჩვიოს, რომ კაფეში ვალით არ უნდა დაჯდეს. თუ ვატყობთ, რომ კლიენტს ფული არ აქვს, ხშირად ვეუბნებით, რომ რადგან ამ ობიექტზე პირველად ხათ, ეს ჩვენგან საჩუქრად მიიღეთო. ისინიც ცდილობენ, თუ ფული არ აქვთ, აღარ შემოვიდნენ,“* - აღნიშნავს მარინა წიკლაური.

არხილოსკალო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საზღვრისპირა სოფელია, რომელიც აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს და აქ ამგვარი აქტივობების ცენტრი გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს. ამაზე თავად არხილოსკალოელი ახალგაზრდები საუბრობენ.

***„ძალიან სასიხარულოა, რომ სოფელში ასეთი ადგილი გაიხსნა, ფასები ძვირი არ არის, ვფიქრობთ, ხელმისაწვდომია. იმედია, ახალგაზრდული ცენტრი ჩვენს სოფელს კიდევ უფრო გამოაცოცხლებს. აქამდე არ არსებობდა ადგილი, სადაც შევძლებდით თავისუფალ დროს დაჯდომას. თუნდაც მხოლოდ ყავის დალევა და მუსიკის მოსმენა შეგეძლოს, ასეთი რამ არ გვქონია. სკოლიდან მოვალთ, თუ სტუმარი ჩამოგვივა, სიამოვნებით მოვიყვანთ ამ ადგილას. შესანიშნავი დიზაინით მოაწყეს აქაურობა და მართლა კარგი გარემოა. იმედია, ჩანაფიქრი გაამართლებს და ობიექტი შეძლებს განვითარებას,“* - ამბობენ არხილოსკალოელები.

„შირაქი“ უკვე იუწყებოდა, რომ ახლახან, ევროკავშირმა დედოფლისწყაროში საპროექტო განცხადებების მიღების მეორე ეტაპი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც კიდევ რამდენიმე საუკეთესო იდეა დაფინანსდება.

ორიოდ წლის წინ, ამავე სოფლის ცენტრში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ახალგაზრდული ცენტრის გვერდით, სულ რაღაც 100 მეტრში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. შენობა მრავალფუნქციურია და იუსტიციის სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სერვისების გარდა ადგილობრივ მოსახლეობას საბანკო, მობილურ და სხვა მომსახურებებსაც სთავაზობს. ამას გარდა, ცენტრის საკონფერენციო დარბაზით უფასოდ სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ადგილობრივი და მეზობელი სოფლების მაცხოვრებელთათვის სხვადასხვა თემატური ტრენინგ-სემინარები აქ ხშირად ტარდება, რომელსაც, ძირითადად, უფროსკლასელები და აქტიური ახალგაზრდები ესწრებიან. ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ მანამდე ტრენინგზე დასწრების შესაძლებლობა არ ჰქონიათ და სამწუხაროდ, ამ სოფლებში ამ კუთხით არც არასამთავრობო სექტორს გამოუჩენია აქტიურობა. ბოლო ხანს, ტრენინგებს შედეგიც მოჰყვა. ბოლო რამდენიმე კვირაა, შეძენილი უნარჩვევების შემდეგ ბევრ ადგილობრივ ახალგაზრდას კონკრეტული აქტივობის იდეა გაუჩნდა და ბევრი მათგანი მათ განხორციელებას უკვე შეუდგა.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲤᲐᲥᲢᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲝᲗᲮᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲨᲕᲘᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲙᲕᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲕᲔᲚᲘᲠᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲒ ᲙᲘ, ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲣᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ. ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲓᲛᲘ ᲘᲜᲢᲠᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ. ᲡᲚᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲓᲐᲔᲓᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ �პᲠᲝᲔᲥᲢᲡ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ.

გასულ კვირას ქართული ღვინის გამოფენა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, მოეწყო ტოკიოში სახელწოდებით „საქართველო ღვინის სამშობლო“, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით.

დღეს ჩვენ ვისარგებლებთ შესაძლებლობით, რომ წარმოშობით ჩვენი თანამემამულე, ღვინის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი – ᲪᲘᲪᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ დელეგაციას ახლდა და საინტერესო თემებს მოვისმენთ მისი მონაყოლიდან.

-ციცია, მოგვიყევით, რას ფიქრობენ იაპონელები ქართულ ღვინოზე და ზოგადად , რა წარმოდგენა აქვთ ქართველებზე?

-ზოგადად იაპონია უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა და სწორედ ამიტომ მათთვის საქართველო საინტერესოა, როგორც უმდიდრესი და უძველესი ტრადიციების ქვეყანა. მათ მოსწონთ ქართული ღვინო სწორედ თავის 8 ათასწლიანი ისტორიით, ტრადიციებით, გემოვნური თვისებებით.

-რას გვეტყვით იაპონელებისა და ქართველი სუმოისტების ურთიერთობების შესახებ, მათ დამოკიდებულებაში რა დაინახეთ ისეთი, რასაც ჩვენ აქედან ვერ ვგრძნობთ?

-იაპონელებისთვის სუმოისტები ძალიან საპატივსაცემო ხალხია. ტოკიოში 10 მარტიდან 7 მაისამდე მიმდინარე პროექტის "საქართველო ღვინის სამშობლო" ერთ-ერთ ღონისძიებაზე "ქართული სუფრა", რომელსაც მწერალი ზურაბ ქარუმიძე უძღვებოდა, ქართველი სუმოისტები ტოჩინოშინი და გაგამარუც ესწრებოდნენ. მათმა გამოჩენამ დარბაზში, სადაც 120-მდე სტუმარი იყო, საოცარი ემოციური აღრფოთოვანება გამოიწვია, ისინი ცდილობდნენ მათთან გასაუბრებას, ფოტოების გადაღებას. საქართველოს იაოპონიაში სწორედ მათით იცნობენ, რაც გვეხმარება ქართული ღვინის იაპონიაში პოპულარიზაციის საქმეში. რომ შევხვდით, მოვუყევი ტოჩის, თუ როგორ გვიყვარს. ვიცი, სულ ვგრძნობო და ქართულ ღვინოსაც ძალიან შევაყვარებთ იაპონელებსო, სჯერა. იმაზე კარგი ადამიანია, ვიდრე წარმომედგინა...

ისე ხვდებიან ტოჩისაც და გაგასაც იაპონელები, რომ მგონი, მათ არანაკლებად უყვართ, მეტად თუ არა...

-მესამედ იყავით ამ ქვეყანაში და რა დაინახეთ ამ ხალხში ისეთი, რაც ასეთ უპირობო წარმატებას ანიჭებს სახელმწიფოს, რაში მდგომარეობს მათი მთავარი საიდუმლო, რას ანიჭებენ ყველაზე მეტად უპირატესობას?

-დიახ, მესამედ ვიყავი იაპონიაში და დავრწმუნდი, რომ ყველაზე დიდი წარმატების საიდუმლო მათ შრომისმოყვარეობაშია. ძალიან ბევრს შრომობენ, რომ ქვეყანა იყოს წარმატებული, გამართული. ერთ-ერთ სკვერში, სადაც მასწავლებელს საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვები ჰყავდა პიკნიკზე, ქარმა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი გააფრიალა და ძალიან დიდხანს სდია მასწავლებელმა, ვიდრე არ დაეწია, რომ ამ პარკს გარემო არ დაენაგვიანებინა. განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ სისუფთავისა და წესრიგისადმი და ეს წესრიგი იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე - ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო ობიექტებში, ყველაგან, მთელს ქვეყანაში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იაპონია ტრადიციების პატივისმცემელი ქვეყანაა, პატივს სცემენ მშობლებს, ზოგადად, ასაკოვან ადამიანებს, ოჯახურ ტრადიციებს, უკვე მესამედ ჩასვლაზე შევნიშნე, რომ კიმანო ცოტას აცვია ძალიან, დიდ უპირატესობას ანიჭებენ ფეხით სიარულს და ფეხსაცმელიც თავისუფალი, შეიძლება ითქვას, ცოტა დიდი ზომისაც აცვიათ...

-მგონია, რომ ძალიან პოზიტიური და მშვიდი გარემოა ქვეყანაში, აგრესია არსაიდან იგრძნობა, სოციალურ ქსელებზეც ასე დამოკიდებულები არ იქნებიან, როგორც ჩვენთან არის და როგორც ვიცი, ცხოველები უყვართ ძალიან...

-ზოგადად თავის კულტურით, ყოფით და ყოველდღიურობით იაპონია ძალიან თვითმყოფადია. განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ცხოველების მიმართ. ერთი, რამაც გაგვაოცა - ქუჩაში ჩიტები, მათ შორის, მტრედები არ უფრთხიან ადამიანებს, ალბათ იმიტომ, რომ მათგან არასდროს უგრძვნიათ აგრესია. განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ძაღლების მიმართ, ბავშვებივით უვლიან. ტოკიოს ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, შიბუიაზე ძეგლი დგას იმ ერთგული ძაღლის -ჰაჩიკოსი, რომელიც წლების მანძილზე ელოდა გარდაცვლილ პატრონს. 9 წელი დადიოდა ჰაჩიკო შიბუიას სადგურზე, საიდანაც უკანასკნელად გააცილა თავის პატრონი- პროფესორი ჰიდესაბურო უენო. სოციალური ქსელებით, რა თქმა უნდა, სარგებლობენ, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, შესამჩნევად ბევრ სელფს იღებენ იქაური გოგოები.

ასევე აღსანიშნავია სკვერების კულტურა, საოცრად მოვლილი ბაღები ქალაქის შუაგულში და თითქმის ყველა შენობის, თუნდაც ცათამბჯენის წინ, ულამაზესი ყვავილების ქოთნებია გამოფენილი. ძალიან ხშირად მიწევს მოგზაურობა ევროპაშიც. გასულ წელს აშშ-ში გვქონდა გამოფენა, მაგრამ, თუკი დედამიწაზე რომელიმე ქვეყანაზე შეიძლება ითქვას, სწორედ იაპონიაა საოცარი ქვეყანა, უძველესი ტრადიციებითა და უახლესი, ზეთანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმით, შრომისმოყვარე და კანონმორჩილი ხალხით, რომლებიც დღე და ღამ მუშაობენ, რომ გააოცონ დანარჩენი სამყარო.

-ციცია, თქვენი სტატუსი წავიკითხე თქვენი ფეისბუქის კედელზე ტოკიოში ყოფნისას ჰაიატე სოტომეზე რომ სწერდით, მოგვიყევით მასზე...

- ეს არის ჰაიატე სოტომე, იაპონიიდან...

ახალგაზრდა იაპონელი დოქტორანტი, ზემოთხსენებული ღონისძიების „ქართული სუფრა“ ერთ-ერთი სტუმარი იყო. მაგიდასთან ქართული დელეგაციის სიახლოვეს აღმოჩნდა და წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც ქართულად დაგვინყო საუბარი. წლების წინ უნახავს თენგიზ აბულაძის "მონანიება" და მაშინ გადაუწყვეტია ქართული ენის შესწავლა. თბილისში ცხოვრობდა 2 წლის მანძილზე, ბევრი რამ იცის ჩვენი ქვეყნის შესახებ. იცის ქართული სუფრის ტრადიციები, აღტაცებულია პოლიფონიით და ხაზს უსვამს, რომ სწორედ მხოლოდ „ქართულ სუფრაზე“ შეიძლება სიმღერა, ცეკვა, ლოცვა და ბევრი რამ საინტერესო. ძალიან უყვარს ვაჟა-ფშაველა. "გველისმჭამელი" წაგიკითხავს-თქო რომ ვკითხე, იქვე თავისი აიპადი გახსნა და სადოქტოროს ვწერ „გველისმჭამელზეო“ და შესავალი წამაკითხა, მინდიაზე წერს სადოქტოროს ტოკიოში ეს ბიჭი, გენიოსი მწერლის ერთ-ერთ უძლიერეს პოემა „გველისმჭამელზე", სწორედ მინდიას ფიქრებით არის გაჯერებული ჰაიატე სოტომე ტოკიოში...

-დასასრულს, ისევ ღვინოზე გკითხავთ, რადგან ამ ვიზიტის გენერალური გზავნილია „საქართველო ღვინის სამშობლოა“, რამდენად საინტერესოა იაპონია, ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით?

-ქართული ღვინის ექსპორტი იაპონიაში ჯერ მცირეა, თუმცა, დინამიკა მზარდია. და ის, რომ იაპონია ქართულ ღვინოს ყურადღებით ეკიდება, ჩანს უკვე ვიზიტებითაც, თუ ღვინოთი დაინტერესებული რამდენი ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში, რა მოთხოვნები აქვთ. მომზადებულები არიან, აინტერესებთ და საერთო ჯამში, ძალიან საინტერესო ქვეყანაა სამუშაოდ. სტრატეგიულადაც გამართლებულია — აზიის რეგიონში, იაპონია ეკონომიკურად ძალიან განვითარებულია და იქაური ტრენდი ავტომატურად ვრცელდება დანარჩენ ქვეყნებში.

-დიდი მადლობა, საინტერესო საუბრისთვის, წარმატეტები თქვენ და ქართულ ღვინოს...

მოამზადა
ᲔᲚᲖᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ

2019 წლის 19 აპრილს, ქვემო ქედში კულტურის სახლის ორგანიზებით და დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელშეწყობით, ქვემო ქედის საჯარო სკოლაში ჩატარდა პოეზიის საღამო. პოეზიის ცეცხლი დაანთეს სოფლის სახალხო მთქმელებმა; ეთერ ჩოხელმა, შმაგი ჭინჭარაულმა, ნათელა ბეგიაშვილმა, მარიამ ფათალიშვილმა, გულნარა ტვილდიანმა. მათ შორის იყვნენ ახალბედა პოეტებიც: მარიამ და ვახტანგ ტოხიშვილები, სოსო მოკვერაშვილი, ბექა ნათელაშვილი, რომლებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები და გაგვაცნეს თავიანთი შემოქმედება.. საღამო მიჰყავდათ თამარ ხარხელაურს, თამარ ბაღიაურსა და მარიამ ტოხიშვილს.

საღამოზე გაიხსენეს და პატივი მიაგეს იმ სახალხო მთქმელებს, რომელთა ლექსებს და კაფიებს დღესაც აქტიურად კითხულობს ქვემო ქედის მომავალი თაობა. ეს ადამიანები იყვნენ : იოსებ ბაიაშვილი, ილია რაზიკაშვილი, დარეჯან ღეჩუაშვილი, ზიგული ქოჩაშვილი, თამარ ხელაშვილი, თამარ თურმანაული, სალომე მარტიაშვილი, გიორგი დარძული, არჩილ მინდოდაური.

საღამოზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვემო ქედის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლები: „მთის შვილნი“, „მზის სხივი“, „თაობა“ და ვაჟთა გუნდი „არწივები“- თამარ კობაიძის ხელმძღვანელობით.

საღამოს ცეკვით ალამაზებდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთიელნი“- ალექსი გაბრიელაშვილის ხელმძღვანელობით.

პოეზიის საღამოს ესწრებოდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, მერიის განათლების კულტურის სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, ქვემო ქედის საჯარო სკოლის დირექტორი ნათელა ბუთხუზი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წრმომადგენლები. კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები, საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

ღონისძიების ბოლოს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: საკრებულოს თავჯდომარემ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, მერიის განათლების კულტურის სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ᲗᲐᲛᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ქვემო ქედის საჯარო სკოლის დირექტორმა ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲑᲣᲗᲮᲣᲖᲛᲐ. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ქვემო ქედის კულტურის სახლის ხელმძღვანელმა თამარ კობაიძემ, რომელმაც ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.

დასასრულს დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს, ქვემო ქედის საჯარო სკოლის დირექტორს და მერიის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ავთანდილ ხუმარაშვილს გვერდში დგომისათვის.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲔ,
ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲘᲡ
ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

უვიზო მიმოსვლის გაუქმების საფრთხე

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. უკვე 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობდნენ ბიომეტრიულ პასპორტს, ვიზის გარეშე გადაადგილდებოდნენ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში.

უვიზოდ მოგზაურობა შენგენის ზონის ტერიტორიაზეა შესაძლებელი, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე შესაძლებელია შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანასთან:

ევროკავშირის წევრი შენგენის სივრცის ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

ევროკავშირის არაწევრი შენგენის სივრცის ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

ევროკავშირის წევრი შენგენის კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშესახებ სარგებელს წარმოადგენს. უვიზო რეჟიმი კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს და ევროკავშირს შორის ორმხრივ თანამშრომლობას და ხელს უწყობს ხალხთა შორის კონტაქტების დამყარებას. საქართველომ რთული და გრძელი გზა გაიარა, რათა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის უფლება მოეპოვებინათ. ეს საერთო მონაპოვარია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. უვიზო მიმოსვლა მხოლოდ მოკლევადიან ვიზიტებს გულისხმობს, კერძოდ - 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში გადაბმულად 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. ევროკავშირის/შენგენის სივრცეში მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) პერიოდის გასვლის შემდეგ.

2017 წლის 28 მარტიდან დღემდე უვიზო რეჟიმით საქართველოს მოქალაქეებმა დაახლოებით 240 000-ზე მეტჯერ ისარგებლეს. თუმცა, ორი მთავარი პრობლემა, რომელიც ევროკავშირის პირველივე დასკვნაში გამოიკვეთა, სწორედ საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა და ევროპაში ორგანიზებულ დანაშაულში ქართველების ჩართულობა და მონაწილეობა იყო. ევროპელი ექსპერტების მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ქურდობა და ყაჩაღობა განსაკუთრებით ხშირია საფრანგეთში, საბერძნეთში, გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა მხოლოდ მას შემდეგ ამოქმედდა, რაც პარალელურად ძალაში შევიდა მიგრაციის გასაკონტროლებლად შემუშავებული სპეციალური მექანიზმი — ე. წ. „შეჩერების მექანიზმი“. ამ მექანიზმის ამოქმედებით ევროკავშირმა თავი დაიზღვია — თუკი საქართველოდან რომელიმე ევროპულ ქვეყანას მიგრანტთა დიდი ნაკადი მიაწყდება, გაიზრდება თავშესაფრის მომთხოვნელთა რიცხვი, ან ევროპაში ჩასული საქართველოს მოქალაქეები უკანონო ქმედებებით შეაწუხებენ ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყანას, ევროკავშირს შეუძლია, ვიზალიბერალიზაცია შეაჩეროს ან მის პირობებს გადახედოს. აქედან გამომდინარე, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის წესების დარღვევისა და თავშესაფრის პროცედურებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხი შეუქცევადი გახდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა აირჩიონ მხოლოდ კანონიერი გზა ევროპაში გასამგზავრებლად და არ გამოიყენონ თავშესაფრის პროცედურები არაკანონიერი მიზნებისთვის. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლების განაცხადების 97% არ კმაყოფილდება, მათ უარს ეუბნებიან სტატუსის მინიჭებაზე და უკან აბრუნებენ სამშობლოში. ლტოლვილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, ვისაც აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და საჭიროებს საერთაშორისო დაცვას. საერთაშორისო საზოგადოებისა და ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებისთვის საქართველო უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად არის მიჩნეული. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განიხილება გამარტივებული პროცედურით და შემჭიდროვებულ ვადებში (ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე დღეში) და უმრავლეს შემთხვევაში გადაწყვეტილება უარყოფითია.



პრობლემა რომ ეკონომიკურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, ამას კონკრეტული მაგალითები მოწმობს. მაგალითები, როდესაც საქართველოს მოქალაქემ გაყიდა ქონება, კრედიტიც აიღო და ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ნაცნობის რჩევით გაემგზავრა. იქ ჩასვლისას მას ურჩიეს, რომ თავშესაფარი უნდა მოეთხოვა. განათავსეს საერთო მისაღებ ცენტრში რამდენიმე ადამიანთან ერთად ერთ პატარა ოთახში. ჩაუტარეს გასაუბრება და გარკვეული ხნის შემდეგ მიიღო უარი. ქართველმა ნაცნობებმა მას ურჩიეს უკან დაბრუნებაზე უარი ეთქვა და დაპირდნენ, რომ სამუშაოს აშოვნინებდნენ. სამსახური ვერ უშოვეს, ვინაიდან არალეგალურად ცხოვრობდა და არავითარი საბუთი არ ჰქონდა. საბოლოოდ იგი დაბრუნდა საქართველოში ყოველგვარი ფინანსური სახსრების გარეშე და ყველაფრის თავიდან დაწყება უწევს. სწორედ ამიტომ, ხშირად თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნით ჩვენი მოქალაქეები საკუთარი და თავიანთი შვილების მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. გარდა იმისა, რომ დიდი ალბათობით, ისინი ვერ მიიღებენ თავშესაფარს, მოსალოდნელია, რომ უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევის გამო მათ შენგენის სივრცეში შესვლა 5 წლის ვადით აეკრძალოთ და 3000 ევროთი დაჯარიმდნენ.

შესაძლო მიგრაციული რისკების და მიგრაციული კრიზისის თავიდან ასაცილებლად ევროკავშირმა შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც სავიზო რეჟიმის შეჩერებისათვის დამატებით კრიტერიუმებს განსაზღვრავს და გადაწყვეტილების მიღების ვადებს ამცირებს. ცვლილებების ძირითადი მიზანია შექმნას უფრო ეფექტიანი და მოქნილი ინსტრუმენტი, რომელიც მესამე ქვეყნებიდან მიგრაციული ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდისა და ამასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შემთხვევაში დროული და ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი ამოქმედდება შემდეგ შემთხვევებში, თუ შესაბამისი მესამე ქვეყნიდან მოხდება

1) შენგენის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი პირების რაოდენობისა და შენგენის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის თქმის შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა;

2) თავშესაფრის მოთხოვნის დაუსაბუთებელი განცხადებების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა;

3) რეადმისიის (მიგრანტების უკან დაბრუნება) შეთანხმების არასათანადო შესრულება - რეადმისიის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა;

4) თუკი საფრთხე შეექმნება საზოგადოებრივ და შიდა უსაფრთხოებას რაც უკავშირდება შესაბამისი მესამე ქვეყნის მოქალაქეებს;

შეჩერების მექანიზმის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ზრდა ნიშნავს 50%—ზე მეტ ზრდას. მონაცემების შედარება მოხდება ან გასული წლის იმავე 2 თვიან პერიოდთან ან უვიზო მიმოსვლის შემოღებამდე წინა ორი თვის მონაცემებთან.

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის გაუქმების საფრთხეზე ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ მმართველ და ოპოზიციურ წრეებში. მმართველი გუნდი ამბობს, რომ ვითარების გამოსწორების მიზნით ყველაფერს აკეთებენ, ოპოზიცია კი ხელისუფლებას აკრიტიკებს და მოუწოდებს, ევროპელ პარტნიორებთან უფრო აქტიურად იმუშაონ იმისათვის, რომ საქართველოდან წასულმა მიგრანტებმა ევროპაში ლეგალურად დასაქმება შეძლონ. პრობლემა რომ არსებობს, ეს 24 აპრილს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც დაადასტურა. ევროკომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მან თქვა, რომ უვიზო რეჟიმის შენარჩუნებისათვის საქართველოს ხელისუფლებასა და ევროკავშირს შორის აქტიური მუშაობაა საჭირო.

ევროკავშირთან არსებულ ვალდებულებებზე საუბრობს პარალემენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. „ჩვენ გვაქვს კონკრეტული ვალდებულებები, რომელიც გამომდინარეობს ამ მიღწევიდან და შესაბამისად, მაქსიმალურად ვცდილობთ ამ ვალდებულებების შესრულებას. პარლამენტი აქტიურად არის ჩართული ამ ყველაფერში. ჩვენ მივიღეთ შესაბამისი კანონპროექტების პაკეტიც იმისათვის, რომ თავიდან აგვერიდებინა პრობლემები. ასევე, მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს ჩვენს კოლეგებთან. ჩვენ აბსოლუტურად ღია ვართ ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისთვის, რომელიც დაკავშირებულია სავიზო ლიბერალიზაციასთან“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. „რადიო თავისუფლების“ კითხვაზე, თუ რა მექანიზმების გამოყენებას აპირებს ხელისუფლება იმისათვის, რომ უვიზო მიმოსვლა ბოროტად არავინ გამოიყენოს, პარლამენტის თავმჯდომარე პასუხობს, რომ შესაძლოა, კონკრეტული ზომები საქართველოს საზღვარზევე მიიღონ, სანამ მოქალაქეები უცხო ქვეყნის საზღვარს გადაკვეთენ. კობახიძემ ისიც აღნიშნა, რომ ამ პროცესის პარალელურად, არ უნდა დაიჩაგრონ ის ადამიანები, ვინც კეთილსინდისიერად იყენებენ ამ უფლებას.

ასევე „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში, ვითარებას „საყურადღებოს“ უწოდებს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა. ***„ევროკავშირის სივრცეში შეინიშნება საქართველოდან უსაფუძვლოდ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მატება. გაიზარდა საზღვრიდან მობრუნებულთა რიცხვიც. ეს ყველაფერი არის ოფიციალური საფუძველი იმისა, რომ ევროკავშირის წევრმა რომელიმე ქვეყანამ, შეიძლება დააყენოს დღის წესრიგში უვიზო რეჟიმის შეჩერება“,*** - განაცხადა თამარ ხულორდავამ.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერი დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ ის, რომ დღეს ადამიანები მასობრივად მიდიან უკანონო მიგრაციაში და ამით საფრთხის ქვეშ აყენებენ სავიზო ლიბერალიზაციას, არ არის ამ ადამიანების ბრალი. ეს არის იმ გაჭირვების ბრალი, რომელშიც ისინი საქართველოში ცხოვრობენ. „რაც უფრო უკეთესი მდგომარეობა იქნება საქართველოში, მით უფრო ნაკლები ადამიანი წავა ევროპაში ლუკმა-პურის საშოვნელად. გამოსავალი და ყველაფრის ტვირთი არის მთავრობაზე“, - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა (DG-HOME) გენერალური დირექტორის მოადგილესთან, საიმონ მორდიუსთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა, რომ შეხვედრაზე ისაუბრეს გეგმაზე, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს და შეამცირებს საქართველოს მოქალაქეების მხრიდან სავიზო ლიბერალიზაციის არასწორად გამოყენების ფაქტებს.

2017 წლის 8 მარტს საქართველოს მიეცა შანსი, რომ ისტორიულ წარსულს კიდევ უფრო მეტად დაახლოებოდა. ამ პროცესის დაწყებიდან ზუსტად 10 თვის თავზე კი გვითხრეს, რომ რაღაცეები არასწორად გავიგეთ. რამდენიმე წლის შემდეგ კი ამაში უფრო მეტად დავრწმუნდით. არასწორად გავიგეთ ის, რომ თავისუფალი მიმოსვლა არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, გაგვაფრთიხლეს,რომ თავისუფლად მიმოსვლა არ ნიშნავს სხვის ტერიტორიაზე ქურდობას, გვითხრეს, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. რა თქმა უნდა, მედალს ორი მხარე აქვს და ამ ყველაფერსაც შეიძლება, რომ მოუძებნო გამართლება, მიზეზი და მიზანი,მაგრამ ყოველთვის არ ამართლებს მიზანი საშუალებას. საქართველომ გრძელი და რთული გზა გაიარა. ამ გზის ბოლოს კი გზაჯვარედინზე მივიდა, რომლის ერთ მხარეს წარმატებამდე, მიღწევებამდე, ევროკავშირში არსებული სიკეთეებამდე მივყავართ, ხოლო მეორე მხარეს კი შელახულ რეპუტაციასთან, უსაფუძვლო მოთხოვნებთან და ამ მოთხოვნების შესაფერის ნეგატიურ შეტყობინებებთან. გზის არჩევა მარტივი ჩანს, გზის არჩევის შემდეგ დამდგარ შედეგებზე პასუხისმგებლობაა რთული.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ჩვენი თეატრი დიდი ქართული თეატრის ნაწილია...“

ასე ფიქრობენ კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასში, რომელიც ამ დღეებში დედოფლისწყაროს სტუმროობდა. ის დედოფლისწყაროელი მაყურებლის წინაშე სპექტაკლით „ბერი არსენი“ წარსდგა.

„მესმის, მონასტერი აფთიაქი არაა, რომ ზიარება იყიდო“-ეს ერთ-ერთი მთავარი გმირის სიტყვებია, რომელიც ბერს თვითმკვლელობის წინ ზიარებას სთხოვს. ბერი არსენი ცდილობს, ქრისტიანული მორალის წყალობით მოაქციოს ის და უარი ათქმევინოს განზრახვაზე, მაგრამ... მისი უდიდებულესობა „შემთხვევითობა“ ბერს უნებლიედ მის მკვლელად აქცევს. და ამის შემდეგ იწყება ღია ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და დემონს შორის. ბერ არსენს უამრავ გამოცდას უწყობს, ხან შეუბრალებელი ჯაშუშის, ხან კი კეთილმოსურნე ადვოკატის სახით...

სპექტაკლში დიდ როლს თამაშობს სიმბოლიზმი- ბოროტება კომუნისტური წყობის სახით შემოდის და რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებს, თუმცა, რეჟისორი ერთია-დემონი, რომელიც ცდილობს, ნებისმიერი მეთოდით დაამარცხოს მორწმუნე ადამიანი და მასთან ერთად სიკეთე.

მუდმივად მლოცველი ბერი არსენი სატანის განსაცდელებს ლოცვით ამარცხებს და ღვთისგან განდგომილი ადამიანები ხელახლა, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულნი იბადებიან. სპექტაკლის ემოციურმა შინაარსმა, მუსიკალურმა გაფორმებამ და მსახიობების პროფესიონალურმა შესრულების მანერამ მაყურებელი აღაფრთოვანა. სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა.

მთავარი გზავნილი კი, როგორც სპექტაკლის **რეჟისორი** ლერი შიოშვილი ამბობს, „არის ყველასთვის, ვინც ეძებს და ვინც უკვე იპოვა უფალი. მოქმედება, რომელიც სპექტაკლში ვითარდება, ყოველდღიურად მეორდება ჩვენში. მთავარია, რომ ქართველში არ მოკვდეს ღმერთი. დღევანდელი სპექტაკლი სწორედ იმის დასტურია, რომ ქართველი კაცი არასოდეს კარგავს უფალს“.

ჰერელ სტუმრებს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი კაპანაძე, კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს წევრი მიხეილ ბახუტაშვილი მიესალმნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **მუნიციპალიტეტის მერი:** „დღეს მე განსაკუთრებით ამაყი ვარ, რადგან ჩვენთან სტუმრად არიან ჩვენი ჰერები, დიდი ქართველები, რომლებმაც შეინარჩუნეს ქართველობა, გაუძლეს ბევრ განსაცდელს და მათგან მოსმენილი თითოეული ფრაზა გაცილებით ღირებულია“.

მეუფე დიმიტრი, **ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი:** „ბედმა თუ ავბედობამ ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა და შუაში საზღვარი დაგვიდო, მაგრამ არ არის გაყოფილი ჩვენი კულტურა, არ არის გაყოფილი ჩვენი წარსული და ვფიქრობ, არც მომავალი. ამ თეატრის არსებობაც და დღევანდელი დღეც ამისი დასტურია“.

მამა პეტრე (ხუმარაშვილი): – **კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი:** „ძნელია სიტყვებით გადმოსცე ის განცდა, რაც დამეუფლა მაშინ, როდესაც სოფელ ალიბეგლოში ამ სპექტაკლს პირველად ვუყურე. უნდა ითქვას, რომ დღემდე ვარ იმ შთაბეჭდილების ქვეშ. დღეს კი ის განცდა განმიახლდა. ამ ადამიანების შრომა ორმაგად დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა“.

რეჟისორმა ლერი შიოშვილმა მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროელ მასპინძლებს გულთბილი დახვედრისთვის. სტუმრებს და მასპინძლებს ერთმანეთი აღარ ეთმობოდათ. ისინი, აპლოდისმენტების ფონზე, ერთმანეთს დაემშვიდობნენ დროებით, ხელახალი შეხვედრის მოლოდინით...

აზერბაიჯანის, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი არსებობის 34 წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა, საინტერესო და ამავდროულად, რთული გზა განვლო.

თეატრი თავდაპირველად დრამატული წრე გახლდათ, შემდგომ მას ილია ჭავჭავაძის სახელობის სახალხო თეატრის სტატუსი მიენიჭა, 2006 წელს კი სახელმწიფო წოდება მიიღო. ეს უდიდესი მოვლენაა, რადგან სახელმწიფოს მიერ იქნა აღიარებული და მიიღო დაფინანსება. აზერბაიჯანის ქართული დრამატული თეატრი ორი ქვეყნის — აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობის სიმბოლოა. იგი აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისთვის ქართული კულტურის შენარჩუნების ერთადერთი კერაა.

მოგეხსენებათ, „თეატრი“ ცოცხალი სიტყვაა, საკუთარი აზრების რეალიზების საშუალება. ყველაზე მთავარი კი შემოქმედებაა. თავის დროზე, საქართველოს ინტელიგენციამ, როგორც არასდროს, უდიდესი წვლილი შეიტანა ამ თეატრის შექმნაში. ანზორ დოლენჯაშვილი იყო ამ თეატრის სულისჩამდგმელი და დამაარსებელი. თეატრი დღესაც განაგრძობს არსებობას და მიუხედავად სიძნელეებისა, კვლავ ემსახურება ქართულ სიტყვას და ალაზანს გაღმა დარჩენილ სამშობლოს.

ინგა შიოლაშვილი

„ვიცნობდეთ და გვიყვარდეს“

3 მაისს, საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ზეპირი ჟურნალი - „ვიცნობდეთ და გვიყვარდეს“ გაიმართა. ღონისძიება ბიბლიოთეკის დარბაზის გამგემ თინიკო ელაშვილმა გახსნა მოხსენებით „ქართული მარტო ენაა?“, სადაც მიმოიხილა ქართული ენა, მისი ისტორია ფარნავაზ მეფიდან დღემდე. საუბარი შეეხო ასევე ქართული ენის მონათესავე ენებსა და მის შესახებ ცნობილი მკვლევრების, პოეტებისა თუ მწერლების აზრების გაცნობას. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ასევე მშობლიური ენის მნიშვნელობას ერის განვითარების პროცესში. ენა დახასიათდა, როგორც ერის არსებობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, რომელსაც გაფრთხილება და ყურადღება სჭირდება.

დამსწრე საზოგადოებას, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, მანანა მაჭარაშვილმა 2019 წლის იუბილარი მწერლები იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და შოთა ნიშნიანიძე კიდევ ერთხელ გააცნო. ეს ის მწერლები არიან, რომლებმაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს არამარტო მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურულ ასპარეზზე, არამედ მთლიანად ქართულ პოეზიაზეც. მათ შემოქმედებაში კი კიდევ ერთხელ პოეზიის პატარა მოტრფიალეებმა - გიგა ლეკაშვილმა („ახლოვდება გაზაფხული), დემეტრე ფიროსმანაშვილმა (გიორგი ლეონიძე - „ყივჩაღის პაემანი“), და გიორგი ქადაგიძემ (შოთა ნიშნიანიძე - „საქართველოში ყველა ციხესთან“) გვამოგზაურეს.

ღონისძიების ბოლოს დედოფლისწყაროელი პოეტის, ბიბლიოთეკარის თამარ ნასრაშვილის კრებულის „და სიტყვა იყო“ გაცნობა გაიმართა. თამარ ნასრაშვილი და მისი პოეზია საზოგადოებას კიდევ ერთხელ ცეცელო ჯანაშვილთან ერთად ნაირა კასრაძემაც გააცნო, მათი მისალმების შემდეგ კი თავად ავტორმა წაუკითხა საკუთარი რამდენიმე ლექსი დამსწრე საზოგადოებას. მოწვეულმა დედოფლისწყაროელმა პოეტებმა თამაზ წიკალაურმა და ლევან ალავერდაშვილმა ისაუბრეს თამარ ნასრაშვილის პოეზიაზე და აუდიტორიის თხოვნით, თავადაც გაალამაზეს ღონისძიება საკუთარი ლექსებით. ღონისძიების დასასრულს, სამადლობელი სიტყვით გამოვიდნენ თამარ თამაზაშვილი,ნანა ჭიჭინაძე, ეთერ ზურიკაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები. ღონისძიებას მუსიკალურად სოფელ სამრეკლოს ანსამბლი აფორმებდა. შეგახსნებებთ, რომ საბიბლიოთეკო კვირეული 6 მაისამდე გაგრძელდება.

„რა ენა წახდეს ერი დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“
- გრ. ორბელიანი

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

დავით-გარეჯი – რას ვიყოფთ და რატომ?

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ - ვიტყვით და შემდეგ ჩვენი ქვეყნის რუკას გადავხედავთ, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია და სევდა შემოგვაწვება იმის გახსენებაზე, თურმე ნიკოფსიიდან- დარუბანდამდე ვყოფილვართო, დავითისა და თამარის ოქროს ხანაც შეგვახსენებს თავს, ძლევამოსილსა და თვალნათელს, მაგრამ ან უკვე წარსულში დარჩენილ საქართველოს.

დავით-გარეჯა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიურ-კულტურული ცენტრი, დაარსდა მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, ასურელი მამის დავითის მიერ და წარმოადგენდა კულტურისა და განათლების მძლავრ კერას. სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი მდებარეობს გარეჯის კლდოვან მთებში (ისტორიული კახეთი).

დავით-გარეჯი იმ სადავო ტერიტორიებს შორის ერთ-ერთია, რომელსაც წლებია გვდავებიან და რომლის დასაცავადაც წლებია უკვე ვერ ვამბობთ „არას“. დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი 25 აპრილს კიდევ ერთხელ იქცა საზოგადოების მღელვარების საგნად, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უდაბნოს მონასტრისკენ მიმავალი გზა დაიკავეს და ქართველ ტურისტებსა და მომლოცველებს ტაძარში აღარ უშვებდნენ. საუბარია სამონასტრო კომპლექსის სადავო ნაწილზე, სადაც უძველესი ფრესკები და სიწმინდეებია დაცული.

სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა პირველად საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1918 წელს დამყარდა. 1919 წლის 16 ივნისს ხელი მოეწერა ერთობლივ თავდაცვით ხელშეკრულებას გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ამ ორ ქვეყანას შორის პრობლემატური იყო ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხი, ასევე აზერბაიჯანის მხარდაჭერა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მიმართ, თუმცა, შეიარაღებულ დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა. 1920 წელს, ბოლშევიკების მიერ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, იქაური პოლიტიკური ელიტის ნაწილი თბილისში გადმოვიდა, მაგრამ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა საქართველოც დაიპყრო. საზღვრების დადგენის პროცესში, გადამწყვეტი აღმოჩნდა 1921 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის კავბიუროს ხელმძღვანელის სერგო ორჯონიკის გადაწყვეტილება. მისი ხელმძღვანელობით დადგინდა შიდა საზღვრები და აზერბაიჯანელმა და სომეხმა კომუნისტებმა გარკვეული ტერიტორიები მოითხოვეს. კერძოდ, ეს იყო ლორე - სომხების მხრიდან, ყარაიას ველი და ზაქათალის ოკრუგი - აზერბაიჯანელების მხრიდან. ქართველმა კომუნისტებმა ამ საკითხში აქტიურობა არ გამოიჩინეს და ორჯონიკიძემ ეს საკითხი აზერბაიჯანისა და სომხეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. თან განუმარტავს, „ საერთოდ სირცხვილია მოძმე კომუნისტებს შორის საზღვრებზე დავა, ჩვენ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას რომ მოვახდენთ, საზღვრები საერთოდ არ იქნება და რატომ უნდა ვიდავოთ და რატომ უნდა ვაწყენინოთ ჩვენს ძმებსო“.

სულ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი 2,5 კილომეტრზეა განთავსებული. ამასთან, სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულია საქართველო-აზერბაიჯანის 446 კილომეტრიანი საზღვრის ერთ-ერთ დაუდგენელ მონაკვეთში, რომლიდანაც შეუთანხმებელი 180 კილომეტრი რჩება. ამჟამად დელიმიტირებულ-დემარკირებულია საერთო საზღვრის 66%. საქმე ისაა, რომ საზღვრის სადელიმიტაციო ორმხრივი სამთავრობოთაშორისო კომისია, რომელიც 1996 წლიდან მუშაობს, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეთანხმდა ტერიტორიაზე - გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთაზე, რომელზეც სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს. სსრკ-ის დაშლისა და საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღემდე ოფიციალურად სახელმწიფო საზღვრის მხოლოდ ნაწილია განსაზღვრული. პროცესი ძირითადად მე—6 საუკუნის ქართული კულტურული ძეგლის — გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთი მონაკვეთის გამო შეფერხდა: კელიების ნაწილი აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული. აზერბაიჯანი თვლის, რომ მონასტერი ალბანური კულტურის ძეგლია და მას „კეშიშჩი-დაღს“ უწოდებს. 2012 წლის 6 მაისს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი დაიკავეს. ისინი არც მაშინ უშვებდნენ მომლოცველებს, ტურისტებსა და სასულიერო პირებს მონასტერში. მართალია, ჩაკეტვა ხანგრძლივი დროით მოხდა, მაგრამ მესაზღვრეები მხოლოდ იდგნენ და სხვა სახის სამუშაოებს არ ატარებდნენ.

განსხვავებული სიტუაციაა უკვე 7 წლის შემდეგ. დავით გარეჯის მამათა მონასტრის არქიმანდრიტის, კირიონის (ონიანი) ცნობით, აზერბაიჯანელებმა უდაბნოს მონასტერი გადაკეტეს და სასულიერო პირებს მონასტერში აღარ უშვებდნენ. „მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები ბილიკებზე მუშაობენ, გამაფრთხილებელ და ამკრძალავ ნიშნებს არჭობენ, რასაც მშვიდად უყურებენ ქართველი მესაზღვრეები. ისეთივე კრიზისული და უარესი მდგომარეობა იქმნება, როგორც 2012 წლის მაისში“ - აცხადებდა არქიმანდრიტი კირიონი „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში. 25 აპრილს, დღის პირველ ნახევარში, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ვლადიმერ კონსტანტინიდი, აცხადებდა რომ დავით- გარეჯში გზის გადაკეტვასთან დაკავშირებით აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა. “როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ასევე, ჩვენმა საზღვრის დაცვის შესაბამისმა სამსახურმა ჩვენს კოლეგებს მივმართეთ და აღნიშნულთან დაკავშირებით აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს, ვმუშაობთ დარეგულირებაზე. თუმცა, იცით, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტას გარკვეული დრო დასჭირდება. ასევე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მსგავს სიტუაციებში მიზანშეწონილია, თავი შევიკავოთ ემოციური განცხადებების ან ქმედებებისგან“, – აცხადებდა კონსტანტინიდი.

როგორც მან აღნიშნა, საზღვრის ორი მესამედი შეთანხმებულია და დანარჩენ ერთ მესამედზე მუშაობა გრძელდება: “გარკვეული პაუზა იყო იმის გათვალისწინებით, რომ კომისიების განახლება უნდა მოხდეს როგორც აზერბაიჯანული, ისე ქართული მხრიდან, როგორც კი ეს პროცესი დასრულდება და ეს ორმხრივი პროცესია და პარიტეტის გათვალისწინებით მოხდება, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდება“.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ,ისევ ონ.გე-სთან საუბარში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი აცხადებდა, რომ დავით გარეჯში დაწესებული შეზღუდვა დღის მეორე ნახევრისთვის უკვე მოგვარებული იყო. “აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გახსნას ეს პუნქტები, რომელიც დაკეტილი იყო”, – აღნიშნა მინისტრმა. მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ისინი მომავალში საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციის პრობლემაზე აქტიურად იმუშავებენ. ზალკანიანმა აღნიშნა, რომ პროცესი კომისიებში ცვლილებების გამო იყო შეფერხებული.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია დავით-გარეჯში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას თქმით, აუცილებელია, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის დასადგენად კომისიამ მუშაობა გააგრძელოს. “ეს ფაქტები ცხადჰყოფს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის საზღვრის დელიმიტაციის საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი, შესაბამისად, აუცილებელია საქართველოსა და ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანის პრეზიდენტებს შორის არსებული შეთანხმებისამებრ, კომისიამ დროულად განაახლოს მუშაობა, რათა ორ მეგობარ ქვეყანას შორის საზღვრები საბოლოოდ დადგინდეს და ასეთ ხელოვნურ დაძაბულობას ადგილი მომავალში აღარ ჰქონდეს”, – განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

ამერიკის ხმასთან მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებდა: „მე რომ ვიყავი აზერბაიჯანში და სომხეთში ორივე ადგილას ვთქვი, რომ შეუძლებელია გაგრძელდეს ის, რომ ჩვენ, ასეთი მეგობრული ქვეყნები, რომლებსაც მართლაც არა აქვთ არაფერი გასაყოფი, ვერ მივიდეთ იმ საბოლოო დემარკაციამდე, რომელიც არის პირველი ნიშანი სახელმწიფოებრიობის. ჩვენ რა სახელმწიფო ვართ, თუ პრაქტიკულად არც ერთი საზღვარი არ გვაქვს. ჩემთვის და ყველასთვის, ვისაც აქვს ეს მოქალაქეობრივი გაგება, ძალიან მტკივნეული საკითხი არის და უნდა შევუდგეთ ამ საკითხს ძალიან აქტიურად, მაგრამ არა წინასწარი დათმობებით. ჩვენ წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ მე არ შევალ დეტალებში, შეიძლება ვერ გაიგონ. ჩვენი პოზიცია არის ძალიან მკაფიო. არსებობდა საბჭოთა კავშირის ბოლოს საზღვარი, რომელიც იყო ადმინისტრაციული საზღვარი 38 წლის რუკებით, რომლის მერეც არ ყოფილა ახალი რუკა. სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ეს არის ჩვეულებრივი გადაწყვეტა. მერე შეიძლება ამაზე მოლაპარაკება. საბოლოო არასოდეს არ არის ისეთი მკაცრი პოზიცია, მაგრამ ეს არის ჩვენი საწყისი პოზიცია და ეს ცნობილი არის ჩვენი მეგობრებისთვის“.

1958 წელს შედგენილი სსრკ გენერალური შტაბის გრიფით საიდუმლო, ყველაზე ზუსტი რუკა. მასშტაბი 1:25 000. რუკის ამ მონაკვეთის საზღვრის მარჯვენა მხარეს საქართველოა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დიდი ნაწილი საქართველოს საზღვრებშია - ხოლო მცირე მონაკვეთი, აზერბაიჯანი.

1949, 51-54 წლებში გადაღებული ფოტო მასალის საფუძველზე, რუსთავის გენერალური შტაბის 1974 წელს შედგენილი რუკა. საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. მასშტაბი 1:100 000

ფაქტია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის დადგენა აუცილებელია. ორ მეგობარ ქვეყანას შორის საზღვრები საბოლოოდ უნდა დადგინდეს, რომ ასეთ ხელოვნურ დაძაბულობას ადგილი მომავალში აღარ ჰქონდეს. ამიტომ პოლიტიკოსებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა თუ სხვა კომპეტენტურმა პირებმა, კარგად უნდა გაითავისონ ეს პრობლემა და გაუაზრებელი, ემოციური და დაუფიქრებელი ნაბიჯებით არ უნდა შეუწყონ ხელი ორ ქვეყანას შორის შუღლის გაღვივებას.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

არ შეიძლება განზე იდგე

წერილის ეს სათაური შემთხვევით არ ამირჩევია. თამნამედროვე, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაში ერთმანეთისადმი თანადგომა და დახმარება თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. ეს ყველას საქმეა, განსაკუთრებით კი ექიმების.

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და განმანათლებელმა სულხან- საბა ორბელიანმა ექიმს სამართლიანად უწოდა „ავადმყოფთა გამამხიარულებელი,“ რადგან სწორედ მას შეუძლია კარგ გუნებაზე დააყენოს ადამიანი და ამით ხელი შეუწყოს მის გამოჯანმრთელებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის პროფესიონალიზმს, რადგან პაციენტის ნდობას მისი პროფესიონალიზმი განაპირობებს.

რამდენიმე ხნის წინ მხედველობის მხრივ პრობლემები შემექმნა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ექიმ- ოფთამოლოგ მაია ტოკლიკიშვილს მივმართე. მის პროფესიონალიზმში ეჭვი არც მე და არც არავის შეჰპარვია. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულმა შემსრულებელმა კარგად იცის, რომ მედიკამენტოზური მკურნალობის გარდა პაციენტისათვის მთავარია „გულის სითბო“, რასაც იგი უხვად გასცემს ავადმყოფების მიმართ მათი განკურნებისათვის. არ სჩვევია უკან დახევა, განზე გადგომა. ადამიანისთვის ხომ თვალის ჩინი მთავარია, რომლის დაკარგვა უდიდესი ტრაგედიაა. ვინ მოთვლის იმ მადლიერ პაციენტთა რიცხვს,რომელთაც, 32 წლის სამედიცინო გამოცდილების მქონე მაია ექიმმა მხედველობა დაუბრუნა.

ერთგან ეკზიუპერი წერდა: ცხოვრობდე, ნიშნავს ნელ-ნელა იბადებოდე. არავინ იბადება მზამზარეული სულით, ეს მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდაო. მაია ექიმს სამედიცინო და ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება აქვს და მას გეგმაზომიერად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მწერალი და პუბლიცისტი ნარგიზა მგელაძე ნარკვევში „ოპტიმისტური ჰიპოთეზა“ წერდა: „ყოველდღიურობის ორომტრიალში, სამსახურისა და ოჯახის საქმეებზე ზრუნვაში, ფიქრსა და დავიდარაბაში ყოველთვის როდი გვყოფნის გულისხმიერება, დავინახოთ ჩვენს გვერდით ადამიანი, რომელსაც ნაღვლიანი თვალები აქვს, რა უჭირს მას, რით შეგვიძლია შევუმსუბუქოთ, სიხარულით შევუცვალოთ ეს ნაღველი?“

პასუხი ერთადერთია:

„- ადამიანი ადამიანის გვერდით. რა იმედია, სანთელია უკუნ ღამეში, ცეცხლი-სიცივეში, წყალი-უდაბნოში, ერთად-ერთი ნამდვილი ფუფუნება“...

მართლაც, დიდი იმედია ადამიანი ადამიანის გვერდით, ეს კარგად აქვს გათვალისწინებული ექიმ მაია ტოკლიკიშვილს.

ხალხური სიბრძნე გვმოძღვრავს: „როგორი მშობელიცა ჰყავს, შვილიც ისეთი იზრდება“. მრავალი თაობის აღმზრდელმა პედაგოგებმა, ბატონმა შოთამ და ქალბატონმა ციალამ, ღირსეული შვილები აღუზარდეს ქვეყანას დიმიტრი და მაია ტოკლიკიშვილების სახით. როგორც პოეტი იოსებ ნონეშვილი იტყოდა, „ქვეყნად ბრძენიც კი არა ყოფილა, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.

მაია ექიმის ძმა დიმიტრი ტოკლიკიშვილი თბილისში სამკურნალო დაწესებულება „მედისონ-ჰოლდინგის„ დირექტორია. ბევრი რამის დაწერა შეიძლება ექიმ დიმიტრი ტოკლიკიშვილის შესახებ, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

დაბეჯითებით შეიძლება ერთი რამის თქმა: მშობლებმა შვილებს ადამიანებისადმი სიყვარული და პატივისცემა შთაუნერგეს.

გარდა გულისახმიერი ექიმისა, ქალბატონი მაია კარგი ოჯახის დიასახლისიცაა. მისი მეუღლე თენგიზი და შვილი გიორგი განათლებული, საუკეთესო პიროვნებები არიან.

მაიასა და მისი ოჯახისათვის წინ ნათელი გზა და დიდი პერსპექტივებია.

ეგული ყოჩიაშვილი

ნიაზი და სოსო ჯანაშვილები იუწყებიან
მალხაზ ნასრაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების სახელით ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი, გივი ღვინიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი, ტანია ბულუღაშვილი, გოდერძი გონაშვილი, ვაჟა მამაიაშვილი, ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ილო თუშიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ „წარმატებული ოჯახის“ ნომინანტს სოსო თევზაძეს დედის
ნათელას
გარდაცვალების გამო.

ნიკა ჩიტიშვილი ევროპის ჩემპიონია

ამჯერადაც ამაღელვებელი აღმოჩნდა რუსეთში გამართული ტურნირის დასასრული ტრადიციულ უშუში, სადაც კიდევ ერთხელ გაისმა საქართველოს ჰიმნი და აფრიალდა ქართული დროშა. საკმაოდ კარგი „ნადავლით“ დაბრუნდნენ ქართველი სპორტსმენები რუსეთიდან-4 ოქრო, 8 ვერცხლი და 7 ბრინჯაო, ასე გამოიყურება ჩვენი ქვეყნის უშუს გუნდის მიერ მოპოვებული შედეგი. ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ ტურნირის გამარჯვებული დედოფლისწყაროელი ნიკა ჩიტიშვილი გახლავთ, რომელიც ამჯერად ევროპის ჩემპიონის ტიტულით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს.

დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენი ნიკა ჩიტიშვილი 27-30 აპრილს იმყოფებოდა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში, სადაც გაიმართა ევროპის ჩემპიონატი უშუ-კუნგფუში. ნიკამ ორი ორთაბრძოლა გამართა ხორვატიელ მოწინააღმდეგეებთან და ორივე აშკარა უპირატესობით დაამარცხა.

როგორც ნიკა ჩიტიშვილის მწვრთნელი გიორგი ცისკარაული გაზეთ „შირაქთან“ აცხადებს, „ნიკას მომზადება ძალიან დიდი დატვირთვით მიმდინარეობდა და შედეგიც სახეზეა. ნიკა ჩიტიშვილს აქამდე არაერთხელ უსახელებია საქართველო და მშობლიური რაიონი საზღვარგარეთ. მან პირველად 2012 წელს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში სამხრეთის ქვეყნების თასი მოიგო, შემდეგ 2017 წელს მე-3 ადგილი დაიკავა ასევე ბაქოში საერთაშორისო ტურნირზე, 2018 წელს კი საერთაშორისო ტურნირი რუსეთში “მოსკოვის უშუს ვარსკვლავი” და ევრაზიის თასი მოიგო სომხეთის დედაქალაქ ერევანში. 2019 წელს რუსეთში „მოსკოვის უშუს ვარსკვლავზე“ მე-2 ადგილი დაიკავა, ახლა უკვე ევროპის ჩემპიონობით დააგვირგვინა“.

ნიკას ორი მწვრთნელი ამზადებდა ტურნირისთვის, გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი ცისკარაული და მწვრთნელი ილია დაიაური.

პატარა გარემოსდამცველები

ეკოლოგიური კატასტროფების საუკუნეში ბუნება და მისი დაცვა ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია კატასტროფების შენელებასა თუ თავიდან აცილებაში. ეკოლოგიური გარემო — წყალი, ჰაერი, მიწა არც თუ ისე ჯანსაღია ჩვენს გარემოში. ჩვენი ვალია, არ დავაბინძუროთ გარემო, არ გავანადგუროთ ბუნება. დავრგოთ მცენარეები და მოვუაროთ მას. ანუ, ისე მოვიხმაროთ ჩვენი ბუნება, რომ მომავალ თაობებსაც შეეძლოთ ჩვენი დანატოვარის მოხმარება. „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალიაო“.

დღეს გადავწყვიტეთ, ჩვენს საბავშვო ბაღში ჩაგვეტარებინა აქცია სახელწოდებით —„გავამწვანოთ გარემო“, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური კულტურის დანერგვასა და განვითარებას პატარა ბავშვებში და კერძოდ, ჩვენს აღსაზრდელებში - ამ სიტყვებით გახსნა 3 მაისს №1 საბავშვო ბაღის ეზოში აქცია-ღონისძიება 2-3 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელმა დალი მაძღარაშვილმა და მოსასმენად მომზადებულ ბავშვებს ერთი ხის ამბავი მოუყვა.

„ტრიალ მინდორზე ერთი ულამაზესი ხე მარტო იდგა, მაგრამ არ გეგონოთ, ჩემო პატარებო, რომ მას მეგობრები არ ჰყავდა, მთელი დღის განმავლობაში მის ტოტებს სტუმრობდნენ ბუ, ბულბულები, ჩიტები, პეპლები და ხეს მოწყენის საშუალებას არ აძლევდნენ, ასე გადიოდა წლები... ერთ დღესაც ერთმა კაცმა გადაწყვიტა, რომ ხე მოეჭრა და ცულით მას, როგორც პირველად დაჰკრა ცული, ხემ ტირილი დაიწყო-მიშველეთ, გადამარჩინეთო... მაშინვე მის დასახმარებლად მისი მეგობრები იქ გაჩნდნენ და განგაში ატეხეს, კაცმა გაიგო ეს ყველაფერი და გადაიფიქრა ხის მოჭრა“ - უამბო ბავშვებს ეს ზღაპარი დალი მასწავლებელმა და ერთდროულად 30-მდე ბავშვმა შვებით ამოისუნთქა, თუმცა, მანამდე დაძაბულნი ელოდნენ, როგორი იქნებოდა დასასრული. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ხე გადარჩა. ეს თითქოს ერთი შეხედვით მარტივი ამბავ-ზღაპარი კი აქ დასრულდა, მაგრამ მათ გონებაში აღარსდროს წაიშლება ის ემოცია და თანაგრძნობა, რაც მათ დღეს ამ აქტივობით მიიღეს, როდესაც პასუხობდნენ კითხვებს, რა მოჰყვებოდა ხის მოჭრას, სად დასხდებოდნენ ჩიტები, რა სარგებლობა მოაქვთ ხეებს, რას გამოყოფენ და რას ვამზადებთ მისგან. ბავშვებმა მოისმინეს სხვადასხვა ჩიტის გალობები და ამოიცნეს ისინი. საინტერესო და სახალისო აქცია ორმოქმედებიანი გახლდათ და მეორე მოქმედებას მშობლებიც შემოუერთდნენ. გამწვანების აქციაში, სადაც მთავარი სლოგანი იყო-„გადამარჩინე და გადაგარჩენ“ საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები, აღმზრდელები და მშობლები მონაწილეობდნენ. პატარა ბუნებისდამცველებმა უფროსებთან ერთად საბავშვო ბაღის ეზოში, საბურავებისგან დამზადებულ საყვავილეებში სხვადასხვა ჯიშის ნარგავები დარგეს და ამით გამოეხმაურნენ 4 მაისის „მსოფლიო გამწვანების საერთაშორისო დღეს“.

№1 ბაგა-ბაღის დირექტორმა ქეთევან დოლიძემ გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა ჯგუფის აღმზრდელს დალი მაძღარაშვილს და მის თანაშემწეს ელენე პოპიაშვილს, ხოლო აღსაზრდელთა მშობლებს აქტიური მონაწილეობისა და მხარდაჭერისათვის. გამწვანების აქციას ესწრებოდა სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენელი ნინო კვიწინაშვილი.

ელზა ხარაშვილი

ულოცავენ!

ნუგზარ ალუღიშვილს,

ნათია ლობჯანიძეს!

გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს დიდ სიხარულს შვილიშვილის, პატარა **ანასტასიას** დაბადებასთან დაკავშირებით. ღმერთმა გაზარდოს ჯანმრთელი,გონიერი და ბედნიერი. მის მშობლებს – **თამუნა ალუღიშვილს და გიორგი ლეკიაშვილს** კი ვუსურვებთ აკვანთა სიმრავლეს და წარმატებას ცხოვრების დიდ გზაზე. თქვენს მშრომელ და კეთილ ოჯახს უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს.

პატივისცემით,
ნაირა გორაშვილის ოჯახი.

ირინა მერაბიშვილს!

მამუკა მამუკელაშვილს!

საყვარელო ირინა, გილოცავთ დაბადების დღეს .გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს შვილთან **ლიკა ნიკვაშვილთან,** სიძე **ვაჟა ბუტიკაშვილთან** და უმშვენიერს შვილიშვილებთან **გიორგისა** და **ანა-მარიასთან** ერთად, შენ შენი სიკეთითა და ჰუმანიზმით ყველაფერ კარგს იმსახურებ, გაიხარე და ყველა სურვილის ასრულებას გისურვებთ.

მამუკა, კიდევ ერთხელ მოვიდა 4 მაისი და შენი დაბადების დღე. კვლავაც გილოცავთ ამ ლამაზ დღეს და გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ ცხოვრებას შენს ძვირფას დედასთან და და-ძმასთან ერთად.იყავი ბედნიერი.

პატივისცემით
ნანა ჭიჭინაძე, მარიკა პოპიაშვილი,
ილია მარტყოფლიშვილი ოჯახებით.

ყურადღება, იყიდება!

იყიდება რუსული წარმოების პიანინო სახელწოდებით „ოდა“
☎ 558-63-65-85.

იყიდება ფუტკარი ვაგონით, აშენებული ფიჭებით და „ნასტავკებით“ ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:
☎ 577-985-144, 577 985-142.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.05	სამშაბათი 07.05	ოთხშაბათი 08.05	ხუთშაბათი 09.05	პარასკევი 10.05	შაბათი 11.05	კვირა 12.05
დღე	16 °	19 °	20 °	21 °	16 °	14 °	13 °
ღამე	15 °	18 °	18 °	18 °	13 °	11 °	12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.